

თიბისი ბანკი წეროვანში გამწვანების აქციას ჩაატარებს!

5 ნოემბერს, 11:00 საათზე თიბისი ბანკის, გარემოს დაცვის სამინისტროსა და კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის ორგანიზებით, წეროვანის საჯარო სკოლის ახლომდებარე ტერიტორიაზე ჩატარდება გამწვანების აქცია.

თიბისი ბანკის თანამშრომლები, გარემოს დაცვის სამინისტროს და კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის წარმომადგენლები, წეროვანის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად, 120-მდე შერეული სახის, ფართოფოთლოვან და წიწვოვან ნერგს დარგავენ.

სოფელ წეროვანში საჯარო სკოლა „თიბისი ფონდმა“ „ავვისტოს ომისგან დაზარალებულთა მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, 2009 წელს ააშენა. ამავე პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სკოლის კეთილმოწყობა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვა.

„თიბისი ფონდი“ დღემდე აგრძელებს სკოლის მოსწავლეთა სრულფასოვანი ცხოვრებისა და განვითარების საკითხებზე ზრუნვას.

წეროვანის საჯარო სკოლაში ამ დროისათვის 1000 მდე დევნილი მოსწავლე სწავლობს.

- ◆ ფიზიკური პირების მომსახურება;
- ◆ კორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერტიფიკატი მიენიჭა;
- ◆ თიდერი დეპოზიტების ბაზარზე
- ◆ თიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ კო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების „მომსახურება ბარიერების გარეშე“ ინოვაციური საქართველოში;
- ◆ ფლობს წამყვან პოზიციებს სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B + and B
- ◆ Moody's: B 1 and Ba 3